ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

N 18
28/06/2017

18-08-4-201706281744

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 7 აგვისტოს #25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 7 აგვისტოს #25 დადგენილებაში (სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.114.016206, www.matsne.gov.ge 14.08.2014) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

მუხლი 1.

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,2. საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება;".

მუხლი 2.

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლიდან ამოღებულ იქნეს მე-8 პუნქტი ,,8. მდივან-რეფერენტი".

მუხლი 3.

დადგენილებით დამტკიცებული დანართს დაემატოს მე-7^1 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,7[1]. საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება.

1. საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება უზრუნველყოფს:

ა) მუნიციპალიტეტის გამგებლის გამართულ კომუნიკაციას საკრებულოსთან, სხვა თვითმმართველ ერთეულებთან, სახელმწიფო ორგანოებთან, იურიდიულ პირებთან, მოქალაქეებთან და სხვა გაერთიანებებთან;

ბ) მუნიციპალიტეტის ოფიციალური ღონისძიებების დაგეგმვას და ორგანიზებას;

გ) პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გაშუქებული მასალების ანალიზს;

დ) მუნიციპალიტეტის გამგებლის სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას;

ე) ადგილობრივი თვითმართველობის თანამდებობების პირების პრესკოფერენციების ჩატარების ორგანიზებას, გამგეობის საქმიანობის შესახებ ყოველთვიური პრეს – დაიჯესტების მომზადებას და გამოქვეყნებას, ადგილობრივი თუ მასობრივი მედია საშუალებებთან ურთიერთობის ხელშეწყობას;

ვ) გამგეობის საქმიანობის შესახებ ფოტო, აუდიო და პრეს–არქივის შექმნას;

ზ) ბეჭდით თუ სხვა მედია საშუალებებში გასული ინფორმაციის მონიტორინგს;

თ) გამგეობის ხელმძღვანელი პირებისთვის ყოველდღიური და ყოველკვირეული მედია მონიტორინგის ანგარიშის წარდგენას;

ი) მუნიციპალიტეტის ვებ–გვერდისთვის მასალის მომზადებას.“

მუხლი 4.

დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივლისიდან.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა